


თავართქილაძე მალხაზ მიხეილის ძე



მ. თავართქილაძე

თავართქილაძე მალხაზ მიხეილის ძე (დ. 13. VI. 1950, თბილისი), მომღერალი (ბანი) და არქიტექტორი. საქართვე. სახ. არტისტი (1982). 1974 დაამთავრა სპი-ის არქიტექტურის ფაკ-ტი. 1974- 83 მუშაობდა საპროექტო ინ-ტ "საქქალაქმშენსახპროექტში", 1983-98 ცეკავშირის სანარმოო გაერთიანება "საქკოლოპდიზანი რეკლამის" დირექტორად. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მონაწილეობდა სპი-ის საესტრადო ორკესტრში (ხელმძღვ. ს. ტულუში) და ვაჟთა კაპელაში (ხელმძღვ. ი. კუბლაშვილი), ხოლო 1971-იდან - ვოკალურ საკრავიერ ტრიოში (მ.

თავართქილაძე, დ. აბესაძე, გ. სეფერთელაძე). 1973-იდან ანსამბლს ეწოდა "ცისფერი ტრიო" და გამოდის როგორც საქართვე. სახელმწ. ფილარმონიის პროფ. კოლექტივი. თ-ის შესრულება აღინიშნება უშუალოდ, ემოციურობით, მაღალი პროფესიონალიზმით. ლამაზი ჟღერადობის ხმა მას საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერპრეტაციით შეასრულოს ბანის პარტიები ქართვ. კომპოზიტორთა სიმღერებში (ნ. დულაშვილის "ღმერთი სიყვარულისა", "იმერეთის ნიავო"; ე. ჭელიძის "ლურჯი აპრილი"; თ. ცაგურიას "ზამთარი"; ი. ბობოხიძის "თოვლი"; ო. რამიშვილის "ერთი ქუჩა" და სხვ.). თ-მ არაერთი სიმღერა გადაამუშავა ტრიოსათვის. ანსამბლთან ერთად შემოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მ. შ. აშშ, კანადა, ინგლისი, მექსიკა, იაპონია და სხვ. აღსანიშნავია თ-ის, როგორც არქიტექტორის, მოღვაწეობა. მისი პროექტით აშენდა არაერთი შენობა-ნაგებობა. ბავშვთა პანსიონატი დაბა ლესელიძეში (1978), ბავშვთა დასასვენებელი სახლი ქობულეთში (1980) - ორივე არქიტ. ლ. ლორთქიფანიძესთან ერთად. სასტუმრო "დიდველი" ბაკურიანში (2004); სწრაფი კვების კაფე "ნიკალა" (2002-10; თბილისი გამსახურდიას გამზირი) და სხვ.
